

შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ,
დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ
ბრძანება № 14 / 03.05.2017წ.

შპს ბარაკონის (საზოგადოებრივი კოლეჯი)

**საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საწარმოო/სასწავლო პრაქტიკის
გავლის ინსტრუქცია**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული დებულება არეგულიურებს პროფესიულ სტუდენტთა მიერ საწარმოო/სასწავლო პრაქტიკის (შემდგომში პრაქტიკის) გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. სტუდენტთა პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია.
3. პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან კერძო ან საჯარო სამართლის ორგანიზაციებში, რომლებთანაც კოლეჯს დადებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკის გავლის შესახებ. სასწავლო პრაქტიკას გადიან ადგილზე კოლეჯში (სამუშაო ადგილის სიმულაცია).

მუხლი 2. პრაქტიკის მიზნები

1. მიღებული თეორიული ცოდნის დაკავშირება პრაქტიკასთან;
2. სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება;
3. პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მომზადება მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის;
4. პროფესიული სტუდენტებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა დაკავშირება, პრაქტიკანტთა შემდგომი შრომითი მოწყობის მიზნით.

მუხლი 3. პრაქტიკის განხორციელების მირითადი პრინციპები

1. საწარმოო პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შპს „ბარაკონ“-სა და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით, ხელშეკრულებით ან მემორანდუმით;
2. საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმო/ორგანიზაცია აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკის კომპონენტის გავლას რეალურ სამუშაო გარემოში;
 - უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებისთვის ადეკვატურ და უსაფრთხო გარემოს;
 - ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის ადგილზე;
 - აწვდის ინფორმაციას შპს ბარაკონს მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.
3. საწარმოო პრაქტიკას წინ უძღვის სტუდენტების ინფორმირება. პრაქტიკამდე შპს ბარაკონი აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. კერძოდ:
 - უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ;
 - პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ;
 - პრაქტიკის შეფასების შესახებ.
4. პრაქტიკის განხორციელებას და შეფასებას უზრუნველყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები).
5. საწარმო/ორგანიზაცია თავის მხრივ ნიშნავს კოორდინატორს, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზაციაში სტუდენტთა ზედამხედველობაზე.
6. კოორდინატორი უზრუნველყოფს დახმარებას პრაქტიკის ადგილზე.

მუხლი 4. სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზაცია/პრაქტიკის განხორციელების პროცესი

1. საწარმოო პრაქტიკის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- მოსამზადებელი შეხვედრა, სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;
- პრაქტიკის ადგილის გაცნობა კოორდინატორის მიერ;
- სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების დღიურის წარმოება (დანართი 1, 2);
- სტუდენტის რეგულარული ზედამხედველობა კოორდინატორის მიერ;
- სტუდენტისათვის კონსულტაციის გაწევა პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;
- პრაქტიკის შეფასება.

მუხლი 5. პრაქტიკის ხელმძღვანელობა

საწარმოო პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელებას ახორციელებს დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, რომელიც:

- ამზადებს ბრძანების პროექტს სტუდენტთა პროფესიული საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს;
- დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების შესახებ, რომელიც მოიცავს პრაქტიკის განხორციელების ადგილსა და ვადებს.

მუხლი 6. დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელი:

- ამუშავებს ინდივიდუალურ დავალებას თემატიკის მიხედვით, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებს ინდივიდუალური დავალებებით;
- ამყარებს კონტაქტს კოორდინატორთან და ათანხმებს მასთან პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ დავალებებს პრაქტიკის ადგილის პროფილის და პროფესიული სტუდენტისათვის აუცილებელი ინფორმაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობის გათვალისწინებით;
- აღმოუჩენს პროფესიულ სტუდენტებს მეთოდურ დახმარებას ინდივიდუალური დავალებების შესრულებისას ინფორმაციის მოგროვების პროცესში პრაქტიკის დღიურის წარმოებაში;
- უწევს კონტროლს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის დანიშნულების ადგილზე დროულად გამოცხადებას და პრაქტიკის ვადების დაცვას;
- ახორციელებს პრაქტიკის შეფასებას.

მუხლი 7. დაწესებულებიდან დანიშნული კოორდინატორი ახორციელებს:

- სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებას პრაქტიკის პროგრამის, გაფორმებული ხელშეკრულებისა და ამ დებულების საფუძველზე;
- სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის პროგრამის შესასრულებლად საჭირო პირობების შექმნას და გაცნობას, სამუშაო ადგილით უზრუნველყოფას, საწარმოო პრაქტიკის პერიოდში შესასრულებული ამოცანების განმარტებას;
- პროფესიულ სტუდენტთა ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და საწარმოო პრაქტიკის პროგრამის შესრულების კონტროლის განხორციელებას;
- თითოეულ სამუშაო ადგილზე სტუდენტებისათვის უსაფრთხო მუშაობის პირობების შექმნას;
- საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ პრაქტიკის ხელმძღვანელს აწვდის ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის/აქტიურობის შესახებ.

მუხლი 8. სტუდენტის უფლება და მოვალეობა

სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს კონსულტაციები საწარმოო პრაქტიკის საკითხებზე პრაქტიკის ხელმძღვანელთან;
- მოითხოვოს უსაფრთხო გარემო სამუშაოს შესრულებისას.

სტუდენტი პრაქტიკის გავლის დროს ვალდებულია:

- გაიაროს საწარმოო პრაქტიკა განსაზღვრულ ვადებში;
- დროულად, ზუსტად და სრულად შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის და კოორდინატორის მიერ გაცემული, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებებით გათვალისწინებული ამოცანები და შეაგროვოს საჭირო მასალები;
- ზუსტად დაიცვას უსაფრთხოების ნორმები და შრომითი დაცვის პირობები;
- დაიცვას პრაქტიკის დაწესებულების სამუშაო რეჟიმი.

მუხლი 9. საწარმოო პრაქტიკის შეფასება

1. საწარმოო პრაქტიკის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. პრაქტიკის შეფასებაში გათვალისწინებულია შუალედური შეფასება (აქტიურობა, პრაქტიკის დღიურის შეფასება, რეფლექსია), დასკვნითი გამოცდა.
2. ექთნის თანაშემწის, ფარმაცევტის თანაშემწის, კბილის ტექნიკოსის, მასაჟისტის და პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის შეფასების კომპონენტები და მაქსიმალური ქულა:
 - I. აქტიურობა - მაქსიმალური ქულა: 10
დღიურის წარმოება - მაქსიმალური ქულა: 10
რეფლექსია - მაქსიმალური ქულა: 40
 - II. დასკვნითი გამოცდა - მაქსიმალური ქულა: 40
21. ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის შეფასების კომპონენტები და მაქსიმალური ქულა:
 - I. აქტიურობა - მაქსიმალური ქულა: 30
დღიურის წარმოება - მაქსიმალური ქულა: 10
რეფლექსია - მაქსიმალური ქულა: 20
 - II. დასკვნითი გამოცდა - მაქსიმალური ქულა: 40

თითოეული კომპონენტისთვის შეფასების სქემა მოცემულია საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში.

მუხლი 10. აქტიურობა

- პრაქტიკის ხელმძღვანელს აქტიურობის კომპონენტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესახებ თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე ინფორმაციას აწვდის საწარმოო ობიექტის წარმომადგენელი/ კოორდინატორი, რომელიც უშუალოდ ზედამხედველობს მას.
- აქტიურობა ფასდება დანართი 3-ის შესაბამისად.

მუხლი 11. პრაქტიკის დღიურის შეფასება

- პრაქტიკის დღიურს პროფესიული სტუდენტი აწარმოებს ყოველდღიურად, ხოლო მის შეფასებას ახდენს პრაქტიკის ხელმძღვანელი დანართი 4-ის შესაბამისად.
- პრაქტიკის ხელმძღვანელი დღიურის წარმოებას აფასებს პრაქტიკის დღეების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზის მიხედვით.

მუხლი 12. რეფლექსიის შეფასება

- სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში წერენ 4 რეფლექსიას.
- რეფლექსიაში სტუდენტი აღწერს ფაქტს/პროცესს, რომელიც მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო პრაქტიკის პროცესში პოზიტიური ან ნეგატიური თვალსაზრისით, აკეთებენ პროცესის ანალიზს და დასკვნებს.
- თითოეული რეფლექსია ფასდება 10 ქულით დანართი 5-ის შესაბამისად.

მუხლი 13. საწარმოო პრაქტიკის დასკვნითი შეფასება

- საწარმოო პრაქტიკის დასკვნითი შეფასება ხორციელდება საგამოცდო სისტემით (პრაქტიკის ხელმძღვანელი საწარმოო პრაქტიკის გავლის პროგრამის შესაბამისად ადგენს პრაქტიკულ დავალებებს, სადაც გათვალისწინებულია ყველა ის საკითხი, რაც პროფესიულმა სტუდენტმა შეისწავლა როგორც თეორიული მეცადინეობების, ასევე საწარმოო პრაქტიკის დროს).
- დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40. პროფესიული სტუდენტი ფასდება შემდეგნაირად:

- პროფესიული სტუდენტი აბარებს 4 საკითხს და თითოეული საკითხი ფასდება 10 ქულით. პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების სქემები მოცემულია პროგრამების საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში.
- პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება პრაქტიკულად შესასრულებელი დავალებებით. დავალებებზე ქულები ნაწილდება გამოცდამდე, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების ერთობლივი გადაწყვეტილებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დასკვნითი გამოცდის ფორმა განსაზღვრულია სასწავლო კურსის სილაბუსში.

მუხლი 14. სასწავლო პრაქტიკის შეფასება

1. სასწავლო პრაქტიკის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

ინფორმაციული ტექნოლოგის, კომპიუტერული გრაფიკოსისა და ბუღალტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- აქტიურობა (20 ქულა)
- შუალედური გამოცდა (40 ქულა)
- დასკვნითი გამოცდა (40 ქულა)

ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის სასწავლო კურსის ფარგლებში ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- აქტიურობა - 10 ქულა
- შესრულებული სამუშაოს ანგარიში - 10 ქულა
- პრაქტიკული დავალება - 10 ქულა
- პროექტი - 20 ქულა
- ჰერბარიუმი - 10 ქულა
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა

ოფისის მენეჯერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის სასწავლო კურსის ფარგლებში ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- აქტიურობა - 20 ქულა
- წერითი დავალება - 20 ქულა;
- პროექტი - 20 ქულა
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა

მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის სასწავლო კურსის ფარგლებში ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- აქტიურობა - 15 ქულა
- შუალედური გამოცდა - 45 ქულა (15/15/15)
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით თითოეული კომპონენტისთვის შეფასების სქემა მოცემულია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში, რადგან

თითოეული კომპონენტი ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკული დავალებების შესრულებაზე.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით.

დანართი 1.

პრაქტიკის დღიურის ფორმა:

პროფესიული სტუდენტი -----

საწარმოო პრაქტიკის ადგილი (ორგანიზაცია) -----

პრაქტიკის ხელმძღვანელი -----

პრაქტიკის კოორდინატორი -----

| | |
|----------------------------|--|
| ვიზიტის თარიღი | |
| განხორციელებული აქტივობები | |

დანართი 2.

პრაქტიკის დღიური ჯანდაცვის მიმართულების პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის:

პროფესიული სტუდენტი -----

საწარმოო პრაქტიკის ადგილი (ორგანიზაცია) -----

პრაქტიკის ხელმძღვანელი -----

პრაქტიკის კოორდინატორი -----

| ვიზიტის თარიღი | პაციენტის სახელი, გვარი, ასაკი | პაციენტის დიაგნოზი | განხორციელებული აქტივობები |
|----------------|-----------------------------------|--------------------|-------------------------------|
| | | | |
| | | | |
| | | | |

დანართი 3. აქტიურობის შეფასების სქემა

| | | | |
|------------|-----------|--------|---------|
| კრიტერიუმი | ყოველთვის | ზოგჯერ | თითქმის |
|------------|-----------|--------|---------|

| | | | არასდროს |
|---|---|---|----------|
| ჰიგიენის დაცვა | 2 | 1 | 0 |
| ეთიკური ნორმების დაცვა | 2 | 1 | 0 |
| პუნქტუალობის დაცვა | 2 | 1 | 0 |
| ურთიერთობის წარმართვა კოლეგებთან და კლიენტებთან | 2 | 1 | 0 |
| დავალებული საქმეების დროული შესრულება | 2 | 1 | 0 |

დანართი 4. დღიურის წარმოების შეფასების სქემა

| კრიტერიუმი | ინდიკატორები | | | | |
|--|--|--|---|--|------|
| | არადამაკმაყოფილებელი | დამაკმაყოფილებელი | კარგი | ძალიან კარგი | ქულა |
| დღიურის წარმოების სისტემატურობა | დღიურის ნახევარზე მეტი წარმოდგენილი არ არის, ან დღიური არ უწარმოებია. | ვიზიტის ნახევარი აღნუსხული არ არის; ვიზიტების უმეტესობა აღნუსხულია დღიურში; | საველე პრაქტიკის დროს განხორციელებული ვიზიტების უმეტესობა აღნუსხულია დღიურში; | სტუდენტი სისტემატურად აწარმოებს სასწავლო პრაქტიკის საველე პრაქტიკის დღიურს; | 40% |
| განხორციელებული აქტოვობებზე ინფორმაცია უმეტესად წარმოდგენილი არ არის. | განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია უმეტესად წარმოდგენილი არ არის. | ვიზიტის ადგილის, დროისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად წარმოდგენილი არ არის. | ვიზიტის ადგილის, დროისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია ნათელი და დეტალურია. | ვიზიტის ადგილი, დრო და განხორციელებული აქტივობები სრულყოფილად არის წარმოდგენილი. | 40% |
| გრამატიკა ლექსიკა | დაშვებულია შეცდომები მართლწერასა და პუნქტუაციაში (20 და | გაუმართავია მეტყველება, გამოყენებულია | გამართულია მეტყველება, გამოყენებულია | გამართულია მეტყველება, გამოყენებულია | 20% |

| | | | | | |
|-------------|--|---|--|--|-----------|
| | მეტი შეცდომა), რაც ხელს უშლის აზრის გაგებას. | ფორმალური ლექსიკა; | ფორმალური ლექსიკა; | ფორმალური ლექსიკა; | |
| ჯამური ქულა | | შეინიშნება შეცდომები მართლწერასა და პუნქტუაციაში (15-მდე შეცდომა), მაგრამ აზრი ძირითადად გასაგებია. | შეინიშნება მცირე შეცდომები მართლწერასა და პუნქტუაციაში (10-მდე უმნიშვნელო შეცდომა), მაგრამ აზრი გასაგებია. | ნაწერი თითქმის იდეალური და პრაქტიკულად უშეცდომოა (5-მდე უმნიშვნელო შეცდომა). | 10 |

დანართი 5. რეფლექსიის შეფასების სქემა

| კრიტერიუმი | ინდიკატორები | | | |
|------------|----------------------|-------------------|-------|--------------|
| | არადამაკმაყოფილებელი | დამაკმაყოფილებელი | კარგი | ძალიან კარგი |
| | | | | |

| | | | | | |
|-------------------------------------|--|--|--|--|-----|
| რელევანტურობა | ნაწერი აცდენილია დავალებით გათვალისწინებულ საკითხს. | ნაწერი ნაწილობრივ პასუხობს თემას და დავალების მოთხოვნებს. | ნაწერი კარგად პასუხობს თემას/ დავალების მოთხოვნებს; კომპეტენტურად პასუხობს თითქმის ყველა შეკითხვას. | ნაწერი ძალიან კარგად პასუხობს დავალების მოთხოვნებს; კომპეტენტურად და ამომწურავად პასუხობს დასმულ შეკითხვებს. | 20% |
| სიტუაციის/ შემთხვევის ანალიზი | ანალიზი არ ჩანს; არგუმენტები საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან სუსტი არგუმენტებია მოყვანილი და დასაბუთებას მოკლებულია; | განსახილველი საკითხი/სიტუაცია სუსტადაა გაანალიზებული; დასკვნები ცალკეულ შემთხვევაში დასაბუთებულია, მაგრამ შეინიშნება ცალკეული ლოგიკური შეცდომები. | განსახილველი საკითხი / შემთხვევა / სიტუაცია გაანალიზებულია მცირეოდენი უზუსტობებით; დასაბუთება ძირითადად ეფექტურია, მაგრამ შეინიშნება ცალკეული ლოგიკური შეცდომები. | განსახილველი საკითხი /შემთხვევა/სიტუაცია სიღრმისეულადაა გაანალიზებული; სრულყოფილად გამოთქმულია აზრი ყველა საჭირო საკითხზე. | 40% |

| | | | | | |
|---|---|---|--|--|------------|
| შინაარსის სტრუქტურა და ორგანიზება/ თანმიმდევრულობა | ტექსტი სტრუქტურულად გაუმართავია. | ტექსტი სუსტად სტრუქტურირებულია; სუსტად იკვეთება თემის ფარგლებში განსახილველი საკითხები/ძირითადი მიგნებები. | ტექსტი კარგად სტრუქტურირებულია; სუსტად იკვეთება თემის ფარგლებში განსახილველი საკითხები/ძირითადი მიგნებები. | სრულყოფილად იკვეთება სტრუქტურა; სტუდენტი ზუსტად მიყვება თემის ფარგლებში განსახილველ საკითხებს/ძირითად მიგნებებს. | 20% |
| სტილი გრამატიკა ლექსიკა | გამოყენებულია რთული წინადადებები და აზრიანად გამოყოფილია აბზაცები, მაგრამ ხშირად მიუღწეველია სასურველი შედეგი; დაშვებულია შეცდომები მართლწერასა და პუნქტუაციაში (20 და მეტი შეცდომა), რაც ხელს უშლის აზრის გაგებას. | გამოვლენილია გარკვეული ცოდნა სტილისტური არჩევანის გაკეთებისას, მაგრამ სტილს აკლია სიმწყობრე და დახვეწილობა; | გამართულია მეტყველება, გამოყენებულია ფორმალური ლექსიკა. მირითადად გამოყენებულია წინადადებების შეინიშნება შეცდომები მართლწერასა და პუნქტუაციაში (15-მდე შეცდომა), მაგრამ აზრი | სახეზეა თანმიმდევრული, კარგად გააზრებული და დახვეწილი სტილისტიკა; გამართულია მეტყველება, წინადადებების შეინიშნება შეცდომები რთული სტრუქტურა და რთული ენა; შეინიშნება მცირე შეცდომები | 20% |

| | | | | |
|-------------|--|--|---|----|
| | | ძირითადად გასაგებია. მართლწერასა და პუნქტუაციაში (10-მდე უმნიშვნელო შეცდომა), მაგრამ აზრი გასაგებია. | იდეალური და პრაქტიკულად უშეცდომოა (5-მდე უმნიშვნელო შეცდომა). | |
| ჯამური ქულა | | | | 10 |